

შპს გოტა 21

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის,  
რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს.

დირექტორი : პავლე შარივაძე



სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ..... 3

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის დასრულებული წლისათვის ..... 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ..... 5

შპს გოტა 21-ის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები..... 6

დირექტორი : პავლე შარიქაძე



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ლარში)

| აქტივები                                     | შენიშვნა | 2020            | 2019           |
|----------------------------------------------|----------|-----------------|----------------|
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                 |          |                 |                |
| ძირითადი საშუალებები                         | <u>1</u> | 2470924         | 1770963        |
| არამატერიალური აქტივი                        | <u>2</u> | 22582           | 26958          |
| სულ გრძელვადიანი აქტივი                      |          | <b>2493506</b>  | <b>1797921</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                 |          |                 |                |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები   | <u>3</u> | 121150          | 15747          |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები      | <u>4</u> | 89322           | 66022          |
| მარაგები                                     | <u>5</u> | 4673346         | 3354814        |
| სხვა მიმდინარე აქტივები                      |          | 724286          | 349853         |
| ავანსებად და სესხად გაცემული ფულადი სახსრები |          | 1246901         | 843420         |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                    |          | <b>6855005</b>  | <b>4629856</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                          |          | <b>9348511</b>  | <b>6427777</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                      |          |                 |                |
| საწესდებო კაპიტალი                           |          |                 |                |
| გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი)      |          | -1176292        | -607414        |
| სულ კაპიტალი                                 |          | <b>-1176292</b> | <b>-607414</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                         |          |                 |                |
| გრძელვადიანი სესხები                         |          | 4679688         | 5154546        |
| სულ გრძელვადიანი ვალდებულებები               |          | <b>4679688</b>  | <b>5154546</b> |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>            |          |                 |                |
| მოკლევადიანი სესხები                         |          | 97040           | 386420         |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები   | <u>6</u> | 5748075         | 1494225        |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები               |          | <b>5845115</b>  | <b>1880645</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                     |          | <b>10524803</b> | <b>7035191</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>         |          | <b>9348511</b>  | <b>6427777</b> |

დირექტორი : პავლე შარიქაძე



მოგება-ზარალის და სხვა სრული შმოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ლარში)

|                                          | შენიშვნა | 2020            | 2019           |
|------------------------------------------|----------|-----------------|----------------|
| <b>ნეტო ამონაგები</b>                    |          |                 |                |
| საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან      | <u>7</u> | 114504          | 23269          |
| მშენებლობიდან                            |          | 1505593         |                |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება      |          | -46006          | -25521         |
| მშენებლობიდან                            |          | -986078         |                |
| <b>საერთო მოგება</b>                     |          | <b>588013</b>   | <b>-2252</b>   |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 |          | -128426         | -111563        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                     |          | -428269         | -237074        |
| საპროცენტო ხარჯი                         |          | -534811         | -38534         |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | <u>8</u> | -47602          | -56840         |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                 |          | <b>-1139108</b> | <b>-446263</b> |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი      | <u>9</u> | -17783          | -17377         |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                |          | <b>-568878</b>  | <b>-463640</b> |
| <b>მოგება /ზარალი</b>                    |          | <b>-568878</b>  | <b>-463640</b> |

დირექტორი : პავლე შარიქაძე



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ლარში)

| საწესდებო<br>კაპიტალის<br>ცვლილება | წლის<br>დასაწყისში | გაუნაწილებელი<br>მოგება | მთლიანი<br>კაპიტალი |
|------------------------------------|--------------------|-------------------------|---------------------|
|------------------------------------|--------------------|-------------------------|---------------------|

2019 წლის 31 დეკემბერი

|       |         |         |         |
|-------|---------|---------|---------|
| 10250 | -154024 | -463640 | -607414 |
|-------|---------|---------|---------|

2020 წლის 31 დეკემბერი

|         |         |          |
|---------|---------|----------|
| -607414 | -568878 | -1176292 |
|---------|---------|----------|

დირექტორი : პავლე შარიქაძე

დირექტორი : პავლე შარიქაძე



## შპს გოტა 21 -ის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-გამარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გოტა 21 " (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 401963791. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალო, ალექსიძის 1

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, კერძოდ 2018-2020 წელს, ხელშეკრულების საფუძველზე, კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტ, სოფ. ლეჩურში მდ. სტორზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა („შემსრულებელი“).

ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება და რეალიზაცია.

კომპანიის წილის მფლობელები არიან: 100% იანი წილის მფლობელი რამინ ჟორჟოლიანი (28001005344)

კომპანიის დირექტორია პავლე შარიქაძე (01022012193)

### 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საადრიცხო პოლიტიკა

#### მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული ადრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

#### შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

##### (ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

##### (ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

დირექტორი : პავლე შარიქაძე



მპს გოტა 21 (ს/კ 401963791) ფინანსური ანგარიშგება

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. 2020 წლის 31 დეკემბერს, 2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| პერიოდი                          | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.8677 | 3.2095 |
| კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის | 3.2766 | 4.0233 |

#### ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

#### ტერმინების განმარტებები:

##### ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში. კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით. კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

#### დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

#### ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

დირექტორი : პავლე მარიქაძე



ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

**ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება** არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა; ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა; ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

#### გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

#### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

#### სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

#### მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

#### ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დირექტორი : პავლე შარიქაძე



#### ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

#### ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ საშუაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|---------------------------|--------------------------------------|
| შენობა-ნაგებობები         | 10 წელი                              |
| საოფისო აღჭურვილობა       | 2-5 წელი                             |
| დანადგარები               | 2-7 წელი                             |
| ავტო და ინვენტარი         | 2-7 წელი                             |
| სატრანსპორტო საშუალებები  | 2-7 წელი                             |

#### აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

#### სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

#### დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდება, როგორც საგადასახადო აქტივები.

#### ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

დირექტორი : პავლე შარიქაძე



შპს გოტა 21 (ს/კ 401963791) ფინანსური ანგარიშგება

#### ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია ან წარმოიქმნება რამდენიმე საადრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოითმის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

#### სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

#### საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

#### ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან

ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

დირექტორი : ჰაველ შარიქაძე



**მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

დირექტორი : პავლე შარიძაძე



შენიშვნა -1

ძირითადი საშუალებები დღგ-ს გარეშე  
(ლარში)

|                                                                 | მანქანა - დანადგარები | ავტო/სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | ოფისის<br>აღურვილობა | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა |
|-----------------------------------------------------------------|-----------------------|------------------------|-----------------------------|----------------------|-----------------------------|
| 2019 წლის 31<br>დეკემბრის<br>მდგომარეობით                       | 1176764               | 57179                  | 525508                      | 8014                 |                             |
| შესყიდვა                                                        | 363825                | 10088                  | 758012                      | 7076                 |                             |
| გასვლა                                                          | 10771                 |                        |                             |                      |                             |
| დაგროვილი<br>ცვეთა 2020<br>წლის 31<br>დეკემბრის<br>მდგომარეობით | 298928                | 13931                  | 111756                      | 3654                 |                             |
| საბალანსო<br>მდგომარეობა<br>2020 წლის<br>ბოლოს                  | 1230890               | 53336                  | 1171764                     | 11435                |                             |

შენიშვნა -2

არამატერიალური

აქტივი

(ლარში)

|                                                                       | პროგრამები | ლიცენზიები |
|-----------------------------------------------------------------------|------------|------------|
| 2019 წლის 31<br>დეკემბრის<br>მდგომარეობით                             | 3499       | 26958      |
| დაგროვილი<br>ამორტიზაცია<br>2020 წლის 31<br>დეკემბრის<br>მდგომარეობით |            | 4376       |
| საბალანსო<br>მდგომარეობა<br>2020 წლის<br>ბოლოს                        | 3499       | 22582      |

დირექტორი : პავლე შარიქაძე



**შენიშვნა-3**

**ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები**

| (ლარი)                   | 31/12/2020    | 31/12/2019   |
|--------------------------|---------------|--------------|
| ფული სალაროში            | 75188         | 10814        |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 45962         | 4933         |
| <b>სულ ფული ლარში</b>    | <b>121150</b> | <b>15747</b> |

**შენიშვნა-4**

**სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები**

| (ლარი)                                             | 31/12/2020     | 31/12/2019     |
|----------------------------------------------------|----------------|----------------|
| სავაჭრო დებიტორული დავალიანება                     | 89322          | 66022          |
| მომწოდებელზე გადახდილი ავანსები                    | 1239270        | 835789         |
| გაცემული სესხები                                   | 7631           | 7631           |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                         | 724286         | 349853         |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები</b> | <b>2060509</b> | <b>1259295</b> |

**შენიშვნა -5**

**მარაგები**

| (ლარი)                                                                           | 31/12/2020     | 31/12/2019     |
|----------------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| ნედლეული და მასალები                                                             | 999265         | 502249         |
| სამშენებლო კონტრაქტით გათვალისწინებული მშენებლობისთვის აკუმულირებული დანახარჯები | 3674081        | 2852565        |
| <b>სულ მარაგები</b>                                                              | <b>4673346</b> | <b>3354814</b> |

**შენიშვნა -6**

**სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები**

| (ლარი)                                                | 31/12/2020      | 31/12/2019     |
|-------------------------------------------------------|-----------------|----------------|
| სავაჭრო ვალდებულებები                                 | 122911          | 122478         |
| გადასახდელი ხელფასები                                 | 1444            | 1927           |
| ანარიცხები                                            | 58081           | 18807          |
| მიღებული ავანსები                                     | 5549119         | 1209023        |
| გადასახდელი იჯარა                                     | 16520           | 141990         |
| გრძელვადიანი სესხი                                    | 4679688         | 5154546        |
| მოკლევადიანი სესხი                                    | 97040           | 386420         |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები</b> | <b>10524803</b> | <b>7035191</b> |

დირექტორი : პავლე შარიქაძე



შენიშვნა-7

ამონაგები

(ლარში)

შემოსავალი 18%-იანი დღგ-თი დასაბეგრი საქონლის რეალიზაციიდან

31/12/2020

31/12/2019

76296

12474

შემოსავალი 18%-იანი დღგ-თი დასაბეგრი მომსახურების გაწევიდან

38208

10795

შემოსავალი 18%-იანი დღგ-თი დასაბეგრი სამშენებლო კონტრაქტიდან

1505593

სულ ამონაგები

1620097

23269

შენიშვნა -8

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

(ლარში)

31/12/2020

31/12/2019

კომუნალური ხარჯი

446

991

საპენსიო ხარჯი

16028

11604

მივლინების ხარჯი

22441

უბედურ შემთხვევის დროს დაზღვევის ხარჯი

1850

1380

ბანკის საკომისიო ხარჯი

5909

7663

სხვა საერთო ხარჯი

34709

19513

სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

58942

63592

შენიშვნა-9

სულ წმინდა შემოსულობა/ხარჯი

(ლარში)

31/12/2020

31/12/2019

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო ხარჯი

9854

9356

კურსთაშორის სხვაობა

7929

8021

სულ

17783

17377

დირექტორი : პავლე შარიქაძე



შპს გოტა 21 (ს/კ 401963791) ფინანსური ანგარიშგება

**პირობითი ვალდებულებები**

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს

**საანგარიშო პერიოდის შედეგები  
მოვლენები**

2020 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია. პანდემიას კომპანიაზე გავლენა არ მოუხდენია

**ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2022 წლის 4 იანვარს

დირექტორი : პავლე შარიქაძე

დირექტორი : პავლე შარიქაძე

